



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები,

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
19÷21 აპრილი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი:
16 ივნისი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი-საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია 0714
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება №412 24.09.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამაზ ბიჭიაშვილი (ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე (სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე (სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა ჩიხლაძე (სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ სტუ-ს (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამა მოიცავს ოთხ კონცენტრაციას: მობილური კავშირის ტექნოლოგიები; ტელეკომუნიკაციის ქსელები და სისტემები; ტელეკომუნიკაციის ოპტიკურ-ბოჭკოვანი და სატრანსპორტო ქსელები; რადიოტექნიკა.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით (ECTS). სტუ-ში 1 კრედიტი უდრის 25 საათს (იგულისხმება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები). კრედიტების განაწილება საგნების მიხედვით წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი, წელიწადში 60 კრედიტი) და ჯამში მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის შედეგების მიღწევას.

პროგრამა ითვალისწინებს ორი სახის პრაქტიკის გავლას:

- სასწავლო პრაქტიკა 4 სასწავლო დისციპლინაში - VI სემესტრში, ერთ-ერთ დისციპლინაში (პროექტის მართვა/კომპანიათა საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი) - VII სემესტრში;
- საწარმოო პრაქტიკა ტელეკომუნიკაციის პროფილის საწარმოში, სადაც აგროვებს მასალებს მომავალი საბაკალავრო ნაშრომისათვის.

სასწავლო კურსების წარმატებით გავლისა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შემდეგ, 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია - "ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში".

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია: მოამზადოს ტელეკომუნიკაციის დარგში არსებული ტექნოლოგიური სისტემების/ტექნიკური საშუალებებისა და ელექტრონულ მოწყობილობათა აგების თეორიის, პროექტირების, ფუნქციონირების პრინციპებისა და ექსპლუატაციის წესების მცოდნე კადრები; განუვითაროს კურსდამთავრებულებს, როგორც მოქმედი სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და ქსელების ექსპლუატაციის, მონიტორინგისა და შენარჩუნების, ასევე ტელეკომუნიკაციის განვითარების ტენდენციების შესაბამისი ახალი ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენების უნარები; აღჭურვოს კურსდამთავრებულები ტელეკომუნიკაციაში დასაქმებისა და სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო პროფესიული და ტრანსფერული კომპეტენციებით.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებას. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია როგორც სტუ-ს, ასევე ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან. პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2021 წლის 19, 20 და 21 აპრილს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სტუ-ში.

19 და 20 აპრილს ონლაინ ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ:

- უნივერსიტეტის და ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს;
- ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს.

21 აპრილს დღის პირველ ნახევარში ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა უშუალოდ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დაათვალიერეს პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები), ხოლო დღის მეორე ნახევარში კვლავ ონლაინ რეჟიმში განხორციელდა ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბება და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაცნობა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების დამუშავებისას მოპოვებული ინფორმაციისა და ადგილზე ონლაინ ვიზიტის საფუძველზე წარმოდგენილი პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ დაადგინა, რომ პროგრამა პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან არის

შესაბამისობაში, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტით დადგენილ ნორმებთან - მეტწილ შემსაბამისობაში.

▪ რეკომენდაციები

- მოძველებული ტექნოლოგიების სწავლების შემჭიდროვების ხარჯზე უნდა გაძლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება;
- დაემატოს პროგრამის საგნები: დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა; ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია;
- დაემატოს ინგლისური ენის სწავლება, როგორც სავალდებულო კომპონენტი (მათ შორი ტექნიკური ინგლისური);
- შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- მოხდეს მსგავსი შინაარსის და შედეგების საგნების კომპაქტურად წარმოდგენა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება;
- დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში;

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- უშუალოდ პროგრამაში განთავსდეს იმ ბმულების მისამართები, სადაც მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ;
- შემცირდეს არჩევითი საგნების რაოდენობა;
- განახლდეს სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები);
- სილაბუსებში ყოველი თემის შესაბამისად მიეთითოს სახელმძღვანელო და გვერდები;
- სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში სიმულაციური ლაბორატორიულების პარალელურად უნდა გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე;
- ყველა საგანში, რომელიც შეფასების კომპონენტად მოიცავს პროექტის შეფასებას, გაიწეროს პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები;
- დაწესებულებამ/ფაკულტეტმა სასურველია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს სტუდენტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში/პროექტებში ჩართულობის მონიტორინგი და ანალიზი (როგორც პროგრამის შედეგიანობის შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მექანიზმი), მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესების ღონისძიებები;
- სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება საკონსულტაციო განრიგის შესახებ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფების გამოყენების პარალელურად უნდა განხორციელდეს ელექტრონულადაც ფაკულტეტის ვებ-გვერდის <https://gtu.ge/pet/Students/> მეშვეობით;
- სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების გეგმა;

- დარგში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო პროცესში დარგის მოქმედი სპეციალისტების ჩართვა მოწვეული პედაგოგის სტატუსით;
- მეტი მუშაობაა საჭირო სასწავლო პროცესში ახალგაზრდა კადრების ჩასართავად, გასამლიერებელია აგრეთვე პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა;
- პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლაბორატორიული სტენდების/მოწყობილობების განახლების გარეშე;
- დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორის უწყვეტი ორმხრივი კავშირისა და ინფორმაციის დროული/სწრაფი მიმოცვლის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შეიქმნას პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა და დაიგეგმოს სხვა დამხმარე ღონისძიებები;
- პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის მეცხრე კორპუსში განთავსებულ ლაბორატორიებზე, რომლებიც დაკომპლექტებულია National Instruments-ის თანამედროვე სასწავლო აპარატურით;
- სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა, ცალკეული სილაბუსების განახლებისათვის აუცილებელ ცვლილებათა დაუბრკოლებლად ასახვასთან დაკავშირებით;
- სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის;
- სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა-განხორციელება, ასევე სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობასა და ანონიმურობის დაცვაზე;
- სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე

- ექსპერტთა ჯგუფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიზანშეწონილად ჩათვალა ზოგიერთი რეკომენდაციის (რეკომენდაცია 2-„დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“; რეკომენდაცია 7 „ყველა საგანში, რომელიც შეფასების კომპონენტად მოიცავს პროექტის შეფასებას დაიწეროს პროექტისადმი მოთხოვნები“; რეკომენდაცია 8- სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება საკონსულტაციო განრიგის შესახებ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფების პარალელურად უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, ფაკულტეტის ვებ გვერდის მეშვეობით“; რეკომენდაცია 10- „დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორის უწყვეტი ორმხრივი კავშირისა და ინფორმაციის დროული/სწრაფი მიმოცვლის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შეიქმნას პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა და დაიგეგმოს სხვა დამხმარე ღონისძიებები“) გადატანილ იქნეს რჩევებში.
- რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებსა და რჩევებს, არასაკმარისი არგუმენტების გამო ექსპერტთა საერთო მოსაზრებით მიზანშეწონილია დარჩეს უცვლელი სახით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები (ტელეკომუნიკაციის დარგში არსებული ტექნოლოგიური სისტემების/ტექნიკური საშუალებებისა და ელექტრონულ მოწყობილობათა აგების თეორიის, პროექტირების, ფუნქციონირების პრინციპებისა და ექსპლუატაციის წესების მცოდნე კურსდამთავრებულთა მომზადება, მათი აღჭურვა როგორც მოქმედი სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და ქსელების ექსპლუატაციის, მონიტორინგისა და შენარჩუნების, ასევე ტელეკომუნიკაციის განვითარების ტენდენციების შესაბამისი ტექნოლოგიებისა და სერვისებთან ადაპტაციის უნარებით, ტელეკომუნიკაციაში დასაქმებისა და სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო კომპეტენციებით) ითვალისწინებს მეცნიერების, დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან, ჩამოყალიბებულია ნათლად, არის რეალისტური და მიღწევადი.

მიუხედავად აღნიშნული ძლიერი მხარეებისა ექსპრტთა ჯგუფი არ ეთანხმება დვაწლმოსილ/ხანდაზმულ პროფესორთა არგუმენტებს „...ტელეკომუნიკაციის სფეროში ამჟამად მოქმედი აპარატურა-მოწყობილობები ექსპლუატაციაში იქნება კიდევ 10-15 წლის განმავლობაში. პროგრამის კურსდამთავრებულების უმრავლესობა სწორედ ასეთი სისტემების ექსპლუატაციით იქნება დაკავებული. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ ტელეკომუნიკაციის განვითარების ზემოთ ჩამოყალიბებულ ტენდენციებს, კერძოდ, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპირატეს დანერგვას ტელეკომუნიკაციის სფეროში, შრომით ბაზარზე მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი კადრები თანაბრად უნდა ფლობდნენ, როგორც ამჟამად არსებულ ტექნოლოგიებსა და მათ ბაზარზე აგებულ მოწყობილობებს, სისტემებსა და ქსელებს, ასევე მათ უნდა შეეძლოთ ახალ სატელეკომუნიკაციო გარემოში ორიენტაცია და მუშაობა“ და თვლის, რომ პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში, გასავითარებელ უნარებსა და კომპეტენციებში ძირითადი აქცენტი აუცილებელია მოძველებული ტექნოლოგიების სწავლების შემჭიდროვების ხარჯზე გაძლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება (რათა რამოდენიმე წლის შემდეგ პროგრამის კურსდამთავრებულები არ იქცნენ უბრალო

ხელოსნებად).
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან • ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოძველებული ტექნოლოგიების სწავლების შემჭიდროვების ხარჯზე უნდა გაძლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის დასრულებისას სტუდენტის მიერ</p>

შემდინილი ცოდნა (ტექნოლოგიური სისტემებისა და ტექნიკური საშუალებების, ელექტრონული მოწყობილობების აგების თეორიის, პროექტირების, ფუნქციონირების პრინციპებისა და ექსპლუატაციის წესების შესახებ), მასში განვითარებული უნარები (როგორც მოქმედი სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და ქსელების გონივრული ექსპლუატაციის, განვითარების, მონიტორინგისა და შენარჩუნების, ასევე ტელეკომუნიკაციის განვითარების მსოფლიო ტენდენციებით გათვალისწინებული ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურებათა სახეობების გამოყენების შესახებ), ინჟინერიის ბაკალავრის პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მან ტელეკომუნიკაციის ობიექტებზე წარმატებით შეასრულოს მოწყობილობათა პროექტირება, მონტაჟი, გაწყობა, ექსპლუატაცია, ტესტირება და სერვისული მომსახურება.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, მისი შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნის/უნარების/პასუხისმგებლობისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სათანადო დონესთან. არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალური. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის მიხედვით შეფასება ჩატარდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, შედეგების მიღწეული დონე დადგინდება სფეროს სპეციფიკის შესაბამისა პერიოდულობით შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის მიხედვით მოხდება თითოეული სწავლის შედეგის შედარება შესაბამის სამიზნე ნიშნულთან. პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები (აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირთათვის სწავლის შედეგების გაცნობას. გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის და უკუკავშირი სტუდენტებთან პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტისას მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში არის პუნქტი, რომელიც მოიცავს მოკლე, ზოგად ჩანაწერს პროგრამაზე დაშვების პირობების შესახებ: „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი</p>
--

სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. არაა მითითებული თითოეული საგნის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე არაა მითითებული პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესები უზრუნველყოფენ გამჭვირვალებას, სამართლიანობას, ზოგადად განსაზღვრავენ წინაპირობებს და პროცედურებს. თუმცა დაინტერესებული პირისათვის უფრო მისაღები იქნებოდა ამ პირობების უშუალოდ პროგრამაში განთავსება ან/და ბმულების მისამართების მითითება, სადაც შესაძლებელი იქნება მათი გაცნობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ აღწერა;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- უშუალოდ პროგრამაში განთავსდეს იმ ბმულების მისამართები, სადაც მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხვის შესახებ

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა სტრუქტურულად შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე და შინაარსობრივად ითვალისწინებს პროგრამის არსებობის მრავალწლიან ტრადიციებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ზოგადი ჩამოყალიბება არ იძლევა საშუალებას მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რამდენადაა ის გათვალისწინებული პროგრამის შინაარსში.

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და იმ სამომავლო გეგმებით, რასაც ისახავს პროგრამის განმახორციელებელთა გარკვეული გუნდი, „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ მოიაზრება, როგორც „ელექტრონული და ელექტრონული“ ინჟინერიის ერთერთი განშტოება. შესაბამისად პერსპექტივის თვალსაზრისით, პროგრამის განვითარებისათვის მათი მხედველობაში მიღება მნიშვნელოვანია.

პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებით (227 ECTS - აქედან სავალდებულო 162 ECTS, არჩევითი 65 ECTS) და არჩევითი თავისუფალი კომპონენტებით (13 ECTS). პროგრამის დარგობრივი არჩევითი საგნები ასევე წარმოდგენილია 4 განსხვავებული კონცენტრაციების სახით. ჯამურად არჩევითი საგნების რაოდენობაა 49. თითოეული კონცენტრაციისათვის პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა საგანთა სიმრავლე (კონცენტრაციების ზოგადი შინაარსი) არათანაბრად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა რიგი დისციპლინების (დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა; ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია) პროგრამაში არ არსებობა გაართულებს სასურველი შედეგის მიღწევას. პროგრამის არსებული სტრუქტურა შესაძლებელს ხდის მოხდეს რიგი საგნების შერწყმა, კერძოდ არჩევით საგნებში მენეჯმენტის მიმართულების საგნები, და გამონთავისუფლებული კრედიტების უზრუნველყოფა ამ დისციპლინებით. ამ ფაქტის შესახებ იგივე აზრი იქნა გამოთქმული დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა მიერაც.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია უცხო ენის სწავლების დონის ამაღლება და დარგობრივი ტექნიკური ინგლისური ენის სწავლების სავალდებულობა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“;

<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსის სილაბუსები; • გასაუბრება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაემატოს პროგრამას საგნები: დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა; ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია; • დაემატოს ინგლისური ენის სწავლება, როგორც სავალდებულო კომპონენტი (მათ შორი ტექნიკური ინგლისური).
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • შემცირდეს არჩევითი საგნების რაოდენობა
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის (ძირითადი და არჩევითი) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის</p>

შედეგებს. ეს ინფორმაცია ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე. თუმცა რიგი საგნების (არა უშუალოს დარგობრივი) სწავლის შედეგების შესაბამისობა შინაარსიდან გამომდინარე ბუნდოვანია. ასე მაგალითად: უცხო ენის შესაბამისი საგნები, ასევე ფიზიკის და მათემატიკის საგნები გადიან შედეგზე - „აღწერს ტელეკომუნიკაციის სფეროში გამოყენებულ თეორიებსა და პრინციპებს, ახდენს მათ კრიტიკულ გააზრებას“ საგანი „გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები“ გადის შედეგზე „ახდენს სქემოტექნიკურ დაპროექტებას, საკომუნიკაციო კვანძების გაანგარიშებასა და აგებას შესაბამისი დოკუმენტური მასალის გამოყენებით“. სწავლის შედეგების მიღწევადობის რუკის პრაქტიკულობის და სარგებლიანობის (და არა ფორმალურობის) თვალსაზრისით, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგები.

სასწავლო კურსების და კონცენტრაციების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მათ სწავლის შედეგებს, თუმცა რაოდენობრივად ჭარბია და შესაძლებელია მსგავსი შინაარსის და შედეგების საგნების გაერთიანება და პროგრამაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების ჩამატება (იხ.სტანდარტი 2.2 შეფასება).

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მათ შინაარსთან, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსში განსაზღვრული თემატიკით. მიუხედავად იმისა რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება მათ თემატიკას, რიგ სილაბუსებში მითითებულია, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოძველებული ლიტერატურა. რამოდენიმე სილაბუსში მითითებულია არაადეკვატური ლიტერატურა (მაგ. „გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები“ - მ.ახობაძე, ნ.მჭედლიშვილი, გადაწყვეტილებათა მიღება არამკაფიო მონაცემთა საფუძველზე, Fuzzy-ტექნოლოგიები, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017, ISBN 978-20-881-2, 158 გვ. სტუ-ს ბიბლიოთეკა 519.816 (02)/3).

უნივერსიტეტიში დამკვიდრებული წესის შესაბამისად სილაბუსებში ყოველი თემის შესაბამისად არაა მითითებული კონკრეტული სახელმძღვანელო და კონკრეტული გვერდები. ეს გარკვეულ უხერხულობას ქმნის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითად სახელმძღვანელოთა ნუსხაში რამოდენიმე წიგნია მითითებული. ამ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტს გაუადვილებს საჭირო მასალის მოძიებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა მხოლოდ ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- მოხდეს მსგავსი შინაარსის და შედეგების საგნების კომპაქტურად წარმოდგენა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • განახლდეს სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები); • სილაბუსებში ყოველი თემის შესაბამისად მიეთითოს სახელმძღვანელო და გვერდები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში უხვადაა წარმოდგენილი დარგობრივი საგნები, რომლებიც უზრუნველყოფენ, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. ეს საგნები ითვალისწინებენ რიგი პროექტების განხორციელებას მეტწილად აბსტრაქტულ ობიექტებზე სიმულაციური ლაბორატორიული სამუშაოების განხორციელების გზით. რაც რეალური გარემოს სრული აღქმის საშუალებას ყოველთვის ვერ იძლევა. პარალელურად უნდა გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე, რათა კურსდამთავრებულს დასაქმებისას გაუადვილდეს ახალ გარემოში ადაპტირება და მაქსიმალურად გამოიყენოს/წარმოაჩინოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა.</p> <p>სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების განვითარებას უნივერსიტეტი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვის გზით. ეს აქტივობები ასახულია ყოველწლიურად</p>

საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტურ კონფერენციებში მათი მონაწილეობით.

ასევე დიდია სტუდენტთა აქტივობები ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში.

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების განვითარებას გარკვეულად უზრუნველყოფენ სავალდებულო კომპონენტები საბაკალავრო ნაშრომის და საწარმოო პრაქტიკის სახით. ამით სტუდენტი იძენს საბაკალავრო დონის შესაბამის კვლევის უნარებს, შეუძლიათ განახორციელონ ლიტერატურის მოძიება, მოახდინონ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, სინთეზი, შედარება და წარმოადგინონ დასმული ამოცანის ტექნიკური რეალიზაციის გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება;
- საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში სიმულაციური ლაბორატორიულების პარალელურად უნდა გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შესაბამისად საგანთა ტიპი არაერთგვაროვანია. მასში გაერთიანებულია დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული დისციპლინები, საგნები რომელიც წარმოადგენს პროფრსიული საგნების აუცილებელ საძირკველს (ფიზიკა, მათემატიკა, უცხო ენა). შესაბამისად პროგრამაში გამოიყენება თითქმის ყველა ცნობილი სწავლა-სწავლების მეთოდები.

ზოგად პროგრამაში წარმოდგენილი ყოველი საგნისათვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სწავლის მეთოდებში უხვადაა წარმოდგენილი პრაქტიკაზე ორიენტირებული ხერხები და სასწავლო კომპონენტები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის პრაქტიკული/გამოყენებითი შინაარსისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში არსებული საგნების დარგობრიობის, სპეციფიკის და სტატუსის შესაბამისად ყოველი მათგანისათვის დეტალურადაა შეფასების მეთოდები, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების მიხედვით, მეტწილად გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. ცხადაა წარმოდგენილი ქულების მინიჭების მექანიზმი შეფასების ყოველი მეთოდისათვის, თუმცა რიგი შეფასების კომპონენტის დამატებითი განმარტება უფრო ცხადყოფს ამ პროცესს. კერძოდ: პრაქტიკული ორიენტაციის საგანთა უმრავლესობა შეფასების კომპონენტად განიხილავს სტუდენტის მიერ კონკრეტული პროექტის განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად დეტალურადაა გაწერილი ყოველი ქულის მინიჭების პირობები, არაა ცხადად წარმოდგენილი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები - რა ტიპის პროექტია, რა პროცედურებს უნდა მოიცავდეს და მისთ. ერთერთი ასეთი შეფასების მაგალითია:</p> <p>შეფასება საკურსო პროექტით ხდება პროექტის შესრულებისათვის მიცემული დავალების შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენისა და დაცვის მიხედვით: სტუდენტის მიერ საკურსო პროექტის ანგარიშის წარმოდგენა და დაცვა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:</p> <p>13-15 ქულა – პროექტი შესრულებულია მაღალ დონეზე. მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. პროექტის შესრულების შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით.</p> <p>9-12 ქულა – პროექტის გაფორმების ხარისხი დასახვეწია. მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. სტუდენტი ფლობს პროექტის შესრულების შესახებ ინფორმაციას, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას.</p> <p>6-8 ქულა – პროექტი გაფორმებულია საშუალო დონეზე. მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. ხშირად არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია.</p> <p>3-5 ქულა – პროექტში გაფორმების ხარისხი საკმაოდ დაბალია; მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს პროექტის შინაარსს. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია.</p> <p>1-2 ქულა – პროექტის გაფორმების ხარისხი ძალიან დაბალია. სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის დაცვა. 0 ქულა – სტუდენტს სამუშაო არ შეუსრულებია. საკურსო პროექტით შეფასების მაქსიმალური ქულაა 15.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • ყველა საგანში, რომელიც შეფასების კომპონენტად მოიცავს პროექტის შეფასებას, გაიწეროს პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდა იღებენ. მაგ., ამ მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალური სასწავლო კურსი „შესავალი სპეციალობაში“. კურსის ფაგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: უმაღლესი განათლების საფეხურები; საკრედიტო სისტემის არსი; სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და სტუდენტების მუშაობისა და ცოდნის შემოწმების მეთოდები; სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის თავისებურებები და სტუდენტის უფლებები. ხოლო სხვა აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი და სხვ. მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მათ პირად გვერდზე (იგივე, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა იხ. ბმული: https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info), ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), პირველკურსელთათვის შექმნილია სპეციალური საინფორმაციო გვერდი და ელექტრონული სერვისების სისტემა (იხ. ბმულები: <https://studinfo.gtu.ge/> და <https://vici.gtu.ge/#/login>).

სტუ-ში სტუდენტები ინფორმაციას პოტენციური დამსაქმებლებისა და ვაკანსიების შესახებ იღებენ ფაკულტეტის ვებ-გვერდის სიახლეებიდან. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამით ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკის საათები უშუალოდ საწარმოებში. უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით პროფილით დასაქმებულთა რიცხვი კურდათვრებულთა რაოდენობის 50%-ს აჭარბებს.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრის დროს დაადასტურეს, რომ მათი შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ზოგადად, ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება ოფიციალური საკონსულტაციო განრიგი, რომელიც შემდგომ ქვეყნდება [მატერიალურად] ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათთვის აუცილებელ

კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას ისინი იღებენ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის ან სხვა სააღმსრებლო გამოყენებით. მიმდინარე პერიოდში კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია. თუმცა, საყურადღებოა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის გვერდზე „სასწავლო ცხრილებში“ [ან სხვაგან] არ ფიქსირდება შესაბამისი საკონსულტაციო განრიგი (იხ. ბმული: <https://gtu.ge/pet/Students/>).

სტუ-ში სტუდენტთა მონაწილეობით ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და დარგობრივი სემინარები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი წლიურად საშუალოდ შეადგენს 25-30 სტუდენტს. სტუდენტები ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების (იხ. ბმულები: <https://gtu.ge/erasmus+.php> და <https://gtu.ge/Suss/>, <https://gtu.ge/Science/Conference/>) და სხვათა შესახებ იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ადმინისტრაციისგან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს რამდენიმე მათგანმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობის მიღებაც [შესაბამისი საკვლევი თემის მითითებით], თუმცა მსგავსი აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ კუთხით დაგეგმილი აქვს გარკვეული შეხვედრების ციკლი ფაკულტეტის სტუდენტებსა და სტუ-ს საერთაშორისო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ERASMUS + პროგრამის კოორდინატორთან საქართველოში.

ინტერვიუს შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც. თუმცა, სტუდენტებს ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, იხ. ბმული: <https://gtu.ge>;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა, იხ. ბმული: https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის

შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორის უწყვეტი ორმხრივი კავშირისა და ინფორმაციის დროული/სწრაფი მიმოცვლის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შეიქმნას პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა და დაიგეგმოს სხვა დამხმარე ღონისძიებები. სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება საკონსულტაციო განრიგის შესახებ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფების გამოყენების პარალელურად უნდა განხორციელდეს ელექტრონულადაც ფაკულტეტის ვებ-გვერდის https://gtu.ge/pet/Students/ მეშვეობით; დაწესებულებამ/ფაკულტეტმა სასურველია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს სტუდენტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში/პროექტებში ჩართულობის მონიტორინგი და ანალიზი (როგორც პროგრამის შედეგიანობის შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მექანიზმი), მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესების ღონისძიებები. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების გეგმა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="radio"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შესაბამისი კვალიფიკაციის 35 პროფესორის, 19 ასოცირებული პროფესორის, 4 ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტებისგან. მათ სამეცნიერო და აკადემიურ კომპეტენციას ადასტურებს როგორც მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში რეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები, ასევე მათი მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა პროგრამებსა და მასშტაბურ პროექტებში. პროგრამაში ჩართული რამოდენიმე პედაგოგი არის ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის

ნამდვილი წევრი. მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის გამოცდებისა და კომპეტენციის დონით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობის ადეკვატურია.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, უნარები და კომპეტენციები. არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, 100-მდე სასწავლო ლიტერატურისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 2 საკანდიდატო და 8 სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი, სტუ-ს საგამოცემლო საბჭოს თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოებისა და კოლეგიების წევრი. ის დღესაც აგრძელებს მუშაობას ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში საზღვარგარეთის ტელეკომუნიკაციის უნივერსიტეტებთან (პრადის უნივერსიტეტი, ვროცლავის უნივერსიტეტი). პროგრამის ხელმძღვანელს მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც პროგრამის შემუშავებაში, ასევე მის შეფასება განვითარებასა და განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტუ-ს შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი წარმოდგენილია დეკანით, დეკანის მოადგილეებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით, ფაკულტეტის მენეჯერით. დამხმარე პერსონალი ჩართულია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული ძლიერი მხარეებისა, კურსდამთავრებულთა, ექსპერტთა და დამსაქმებელთა საერთო აღიარებით, კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების მიზნით არ იქნება ურიგო, თუ პროგრამის განხორციელებაში მოხდება დარგის მოქმედი სპეციალისტების ჩართვა მოწვეული პედაგოგის სტატუსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია სასწავლო კომპონენტების მითითებით;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და

<p>მოვალეობები;</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით; • აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით; • აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი. • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>ჩრევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • დარგში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო პროცესში დარგის მოქმედი სპეციალისტების ჩართვა მოწვეული პედაგოგის სტატუსით
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. სტუ-ში პერმანენტულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის მიერ სასწავლო პროცესზე უშუალო დაკვირვება აუდიტორული მეცადინეობისას. მეცადინეობაზე დაკვირვების შემდეგ ანალიზდება შედეგები და კომისიის მიერ ხდება როგორც ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება, ასევე შეფასების შედეგების გამოყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისებისათვის. უნივერსიტეტსა და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს აგრეთვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, რომელზეც ხდება გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი მასალის შეფასება და რეკომენდაციის გაცემა მის გამოქვეყნებაზე. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას ანთავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე (<http://my.gtu.ge/>). აღნიშნული ბაზიდან პერსონალის მეცნიერული აქტივობის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შეფასების შედეგებს აცნობს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

სტუ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობათა განხორციელებას. აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესი უნივერსიტეტში ხორციელდება სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით.

სამეცნიერო მიმართულებით პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება ერთობლივი კვლევითი აქტივობები უცხოელ პარტნიორებთან. სტუ თავის სამეცნიერო შრომათა კრებულში ბეჭდავს უცხოელ მეცნიერთა პუბლიკაციებს. თავის მხრივ სტუ-ს პროფესორები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. 2018 წლიდან სტუ ახორციელებს პროექტს №598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP (2018-2578 / 001 – 001) - HERD „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“. საქართველოს 12 უნივერსიტეტისთვის იქმნება ერთობლივი კვლევითი პლატფორმა, უნივერსიტეტებში კვლევითი აქტივობების დაგეგმვის, დანერგვის და შეფასების ხელშეწყობის მიზნით. გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს კვლევითი ინტერნეტპორტალის შექმნა, რომელშიც აისახება ინფორმაცია საქართველოს აკადემიურ ინსტიტუციებში მიმდინარე აქტივობების, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის შესახებ და სხვა. მოხდება წევრ უნივერსიტეტებში კვლევის პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა, ჩამოყალიბდება საქართველოში სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის ერთიანი სისტემა უნივერსიტეტების, სამთავრობო სააგენტოების (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სამი ასცირებული წევრი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი) და ევროპული უნივერსიტეტების ჩართვით.

პედაგოგიური მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური

პერსონალის განვითარებას ემსახურება სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრი სადაც პერსონალი გადის ტრენინგებს კარიერის დაგეგმვის, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდოლოგიების, სწავლის შედეგების, მათი შეფასების და სხვა მიმართულებით. სტუ 2017 წლიდან ახორციელებს პროექტს ERASMUS + CBHE PROJECT# 585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP – PRINTeL, რომლის ძირითადი იდეაა „ცვლილებები საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა სტუდენტის სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“. პროექტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრის (TSDC) გაძლიერებას პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში ლექტორებისა და ტრენერების შესაძლებლობების ზრდის, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, აკადემიური პერსონალის ინოვაციური ტრენინგების და აკადემიური ლიდერობის პროგრამების გამოყენებით; პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების ზრდას ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის, კომპეტენციებსა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებით; სწავლებისა და სწავლის ვირტუალური აკადემიის (VATL), როგორც მასწავლებლების, პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო საზოგადოების შექმნას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ღია აკადემიური რესურსების (OER) გამოყენებითა და გაზიარებით, ინოვაციური და ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლისა და სწავლების განვითარების მიზნით; ინოვაციური და ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლის მეთოდების და ტიპების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, საუკეთესო პრაქტიკების გავრცელებას უნივერსიტეტებს შორის, ევროკავშირის ქვეყნებში.

სტუ 2018 წლიდან ვენის ბუნებრივი რესურსების და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტთან ახორციელებს ერთობლივ პროექტს „აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოს დაცვის სწავლებაში - ACCES“, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის შესაძლებლობათა გაზრდას უახლესი სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიაზე დაფუძნებული ინოვაციური გარემოს ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნით, აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განმტკიცებით, სწავლებისა და კვლევის არსებული მიდგომების ხარისხის გაუმჯობესებით და სხვა.

აკადემიურ პერსონალს სტუ სთავაზობს მხარდაჭერას, უქმნის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლის საფუძვლებს. მაგ., ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ამერიკაში ABET - ის 2018-2019 წლებში სიმპოზიუმებზე გავლილი ტრენინგები ABET - ის სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საკითხებზე. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებს გამოცდილება გაუზიარა შესაბამისი სერთიფიკატების მქონე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის“ შემუშავებაში ჩართულმა სტუ-ს აკადემიურმა პერსონალმა. სტუ-ში აკადემიური პერსონალის განვითარების და მარდაჭერის პარალელურად, მოქმედებს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებიც.

სტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის (სემინარებში, კონფერენციებში და სხვა სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობის მიღება, ტრენინგებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება) ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სპეციალური ხარჯები.

<p>მიუხედავად იმისა, რომ როგრამაში ჩართულია ბევრი ღვაწლმოსილი ხანდაზმული პროფესორი, აუცილებელია მეტი მუშაობა სასწავლო პროცესში ახალგაზრდა კადრების ჩასართავად, გასამლიერებელია აგრეთვე პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • ფაკულტეტის ბიუჯეტი; • აკადემიური პერსონალის რეზიუმეები • ინტერვიუები • ვებ გვერდი - „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (http://hpep.ge/ge/).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტი მუშაობა საჭირო სასწავლო პროცესში ახალგაზრდა კადრების ჩასართავად, გასამლიერებელია აგრეთვე პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა~</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტების დამუშავების და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის გზით დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია მასში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო ინვენტარითა და სხვა საჭიროებებით. პროგრამის სტუდენტები და პერსონალი პროგრამის მიზნების მისაღწევად და სწავლის შედეგებზე გასასვლელად იყენებენ უნივერსიტეტის შემდეგ მატერიალურ რესურსებს:

- ინტერნეტის ქსელში ჩართულ კომპიუტერულ კლასებს, პროექტორებით აღჭურვილ სალექციო აუდიტორიებს, თანამედროვე აპარატურითა და მოწყობილობებით აღჭურვილ IP-ტექნოლოგიის, სატელეკომუნიკაციო სისტემების, მობილური კავშირის ქსელების/სისტემების ლაბორატორიებს, კომპანია „ჯეოსელის“ მოქმედ საბაზო სადგურს, ფიზიკის/ მრეწველობის დაცვის/ელწრედების/სატელეკომუნიკაციო ქსელების/ტელეკომუნიკაციის ელექტრონული და ბოჭკოვან-ოპტიკური ხაზების და სხვა სასწავლო დისციპლინების ლაბორატორიებს;
- ცენტრალურ ბიბლიოთეკას ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული მრავალფეროვანი და განახლებადი რესურსებით (სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, საქართველოს ბიბლიოთეკების გაერთიანებული კატალოგი, EBSCO-ს ბაზებით, Elsevier-ის ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Polpred.com Mass Media Review სამეცნიერო ბაზებით და Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Developments Studies e-books, Royal Society Journals Collection, SAGE Premier ელექტრონული რესურსებით);
- პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ ტექნიკური ბაზებს, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას დარგის პროფესიონალების ზედამხედველობით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

აღნიშნულ ძლიერ მხარეთა მიუხედავად, თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილზე ვიზიტისას, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს აღნიშნულ ფაქტს ზოგიერთ სასწავლო ლაბორატორიაში მოძველებული სტენდების შესახებ და გავითვალისწინებთ ლაბორატორიულ სამუშაოთა წვლილს სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და ჩვევების განვითარებაში დავრწმუნდებით, რომ პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლაბორატორიული სტენდების/მოწყობილობების განახლების გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგაიში; • სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის რესურსები; http://gtu.ge/Library/; • მატერიალულ ტექნიკური რესურსების დათვალერება; • ინტერვიუები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლაბორატორიული სტენდების/მოწყობილობების განახლების გარეშე. • პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის მეცხრე კორპუსში განთავსებულ ლაბორატორიებზე, რომლებიც დაკომპლექტებულია National Instruments-ის თანამედროვე სასწავლო აპარატურით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო სახსრები, უშუალოდ</p>

სტუდენტების მიერ სწავლებაში გადახდილი თანხები, შემოსავლები ექსპერტული მომსახურებითა და შეკვეთილი ტრენინგებით, ასევე სამეცნიერო გრანტებით და სხვა მსგავსი აქტივობებით მოზიდული სახსრები. პროგრამის ბიუჯეტია 499 500 ლარი. ბიუჯეტის მთავარ ხარჯვით ნაწილს შრომის ანაზღაურება შეადგენს, იგი დაახლოებით მისი 44%-ა. ბიუჯეტის დაახლოებით 30 % ხმარდება პროგრამის განვითარებას, თითქმის 26 % კომუნალური გადასახადებს და მომსახურებას.

საორიენტაციო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტის მიერ დამოუკიდებლად ხდება წლიური ბიუჯეტის განსაზღვრა და სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა. ამ დროს წყდება, თუ რამდენი სტუდენტი და რომელ პროგრამაზე უნდა იყოს მიღებული, რათა მათი სწავლების სრული ციკლი სათანადოდ იყოს ფინანსურად უზრუნველყოფილი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული ტელეკომუნიკაცია“ ფინანსური ანალიზი ცხადყოფს რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია. პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხები დინამიურად იზრდება და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCL ციკლის პრინციპს, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას.</p> <p>სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება ხორციელდება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. ესაა გზამკვლევი იმ კრიტერიუმებისა და პროცედურებისა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის ბაზაზე შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა და რაც უნდა განვლოს პროგრამის შემუშავებელმა გუნდმა იდეიდან მის განხორციელებამდე. მოცემული წესის თანახმად, აუცილებელია პროგრამის დაგეგმვის/შემუშავების/შეფასების/განვითარების პროცესები იყოს ღია, გამჭვირვალე და თანამშრომლობითი, მასში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე – შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა მხარეები.</p>

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გაჟღერდა სილაბუსებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულე. კერძოდ, მათ ყურადღება გაამახვილეს ცვლილებების მხოლოდ ერთჯერადად, სააკრედიტაციო პროცესში განხორციელებაზე. მათი თქმით, რომელიმე სილაბუსში ცვლილებების შეტანა ხშირად არ ხდება, არა იმიტომ, რომ დარგში არ მიმდინარეობს ხშირი და სწრაფი ცვლილებები, არამედ სილაბუსში ცვლილებების განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ ბიუროკრატიულ პროცედურებთან, რის გამოც თავს იკავებენ ცვლილებების ოფიციალურად ასახვისგან. მიუხედავად ამისა, სალექციო ფორმატში უახლესი ინფორმაციისა და ლიტერატურის მიწოდება მაინც ხდება. ვფიქრობთ, უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა თუ პროცედურები ცალკეულ სილაბუსში ცვლილებების შეტანისა (ლიტერატურის, შეფასების სისტემის, სწავლის მეთოდების და სხვა) არ უნდა წარმოადგენდეს დამაბრკოლებენ ფაქტორს აკადემიური პერსონალისთვის და რომ თითოეული სილაბუსი უნდა ასახავდეს და ემთხვეოდეს რეალურ სალექციო თუ სასემინარო პროცესს. ამიტომ, სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეწყობა აღნიშნული მიმართულებით, რათა დაუბრკოლებლად ასახონ სასწავლო კურსებში ნებისმიერი ადეკვატური ცვლილება და ამ მიმართულებით ითანამშრომლონ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, სტუ-ში რექტორის ბრძანებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომელიც ამოწმებს პროგრამითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ აღჭურვილობას, სათანადო ლიტერატურას, პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსს, აუდიტორიებსა და განსაზღვრავს ყველა იმ ინდიკატორს, რომლებიც საჭიროა პროგრამის შიდა მონიტორინგისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისთვის გამოყენებულია: პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტების დასწრების-აქტივობის მონიტორინგი, პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, არსებობის შემთხვევაში გარე შემფასებლების მიერ და სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., პროფესიული ასოციაციები) ჩატარებული შეფასების შედეგები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება. თუმცა, ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელისგან განსხვავებით სტუდენტები და აკადემიური პერსონალი არ იცნობს აკადემიური მოსწრების შედეგებს. აღნიშნული გარკვეულად მიუთითებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მეტ-ნაკლებ წვდომაზე.

თანდართული დოკუმენტაციებითა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში. რაც შეეხება

თვითშეფასების დოკუმენტს, მასზე იმუშავა თვითშეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალითა და სტუდენტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი <https://gtu.ge/quality/>
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა, ცალკეული სილაბუსების განახლებისათვის აუცილებელი ცვლილებების დაუბრკოლებლად ასახვასთან დაკავშირებით.
- სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტისა და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, როგორცაა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, ექსპერტთა შეფასებები, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ანგარიშები, დაინტერესებული მხარეების, კერძოდ კი, დამსაქმებელთა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენელთა შეფასებები და ხელშეწყობები.

ზემოაღნიშნული მიზნით, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებულია 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა“ და 2019 წლით დათარიღებული „უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“. წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, სტუ-ში და მათ შორის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე განხორციელებულ იქნა გარკვეული აქტივობები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით სტუ-ს რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანებით შეიქმნა სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია“; სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“; 2018 წელს დამტკიცდა სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის „მრჩველთა საბჭოს“ ახალი შემადგენლობა; შემუშავდა და განახლდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები.

გარდა ამისა, გარე შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა ისეთი პროფესიული ორგანიზაციები როგორცაა კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია და საქართველოს ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირი.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ დამსაქმებლებთან პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს აქვს მჭიდრო და დიდი ხნის თანამშრომლობითი ურთიერთობის გამოცდილება. ინტერვიუზე წარმოდგენილი ორგანიზაციების წამყვანი სპეციალისტები იცნობდნენ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას, რაც დასტურდება როგორც ინტერვიუს შედეგებით, ისე თანდართული დოკუმენტებით (თვითშეფასების ანგარიში და დამსაქმებელთა გამოკითხვა), სადაც მათ მიერ დასახელდა როგორც პროგრამის ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები.

პროგრამაში გარკვეულად გათვალისწინებულია დამსაქმებლების რჩევები და რეკომენდაციები, რის საფუძველზეც მოხდა პროგრამის სახელწოდებისა და სტრუქტურის ცვლილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი <https://gtu.ge/quality/>
- სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო თუ კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, სტუ-ში უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. პროგრამის შეფასება ძირითადად ხდება შესაბამისი კითხვარების მეშვეობით, სადაც რესპონდენტებს შესაძლებლობა აქვთ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებებია პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, ლიტერატურის, მატერიალური რესურსების და სხვათა შესახებ. შესაბამისად, უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს და შემუშავებული აქვს სისტემური გამოკითხვის ფორმები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის), პერიოდულად ახდენს მათ განახლება-გაუმჯობესებას. ასევე, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში გამოკითხვების პრაქტიკა დანერგილია, რაც დასტურდება თანდართული დოკუმენტაციითა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ გამოკითხვების სისტემატურობასთან მიმართებით. მათი თქმით, რამდენჯერმე მიუვიდათ პირად მეილზე გამოკითხვის ბმული, მაგრამ გამოკითხვაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს ანონიმურობის არ განცდის გამო, რადგან თვლიან, რომ პირადი მეილიდან გაგზავნილი პასუხებით ადვილად მოხდება მათი იდენტიფიცირება. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან აღნიშნული დასახელდა გამოკითხვებში მონაწილეობის დამაბრკოლებელ ფაქტორად. გარდა ამისა, ინტერვიუების შედეგად გამოკითხვის შედეგებზე წვდომა არ დადასტურდა. სახელდობრ, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი არ იცნობს გამოკითხვის შედეგებს, არ იციან სად შეუძლიათ იხილონ კვლევის შედეგები და არის თუ არა ეს ინფორმაცია საჯარო.

მართალია უნივერსიტეტი ახორციელებს ზემოაღნიშნული სისტემურ კვლევებს, თუმცადა ამის პარალელურად, ნაკლებ არის ორიენტირებული საჭიროებაზე მორგებულ კვლევებზე. კერძოდ, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ პანდემიის პირობებში არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც დაადგენდა სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილებას უნივერსიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯებით/განხორციელებული აქტივობებით ან ამავე სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს, რომლებიც გამოვლინდა ელექტრონული სწავლებისა და საქმიანობის განხორციელების პირობებში.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით 2016 წლიდან მოქმედებს სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია. „კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო

ლიტერატურის, პროგრამების განმხორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას“ (№ 01-05-04/108 დადგენილება, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები).

თვითშეფასების დოკუმენტისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, საფაკულტეტო კომისიის მიერ გადამოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის შესაბამისობა სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნად და ელექტრონულ ფონდთან. ასევე, ჩატარდა კომისიის წევრების მიერ ლექციების შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად. შედეგები იქნა გაანალიზებული, ეცნობა დეკანატს და შესაბამის დეპარტამენტებს სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის მიზნით დანერგილი აქვს ე.წ. კოლეგიალური შეფასება, რაც გულისხმობს პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას ლექციებზე კოლეგების (იმვე პროგრამის ან სხვა პროგრამის) დასწრების საშუალებით. კოლეგიალური შეფასების მიზანია გამოცდილების გაზიარება და სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი <https://gtu.ge/quality/>
- სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია;
- სტუ-ს რექტორის ბრძანება 28.03.2016 №42 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის ლექციის შეფასების კითხვარი და დასკვნა.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა-განხორციელება, ასევე სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობასა და ანონიმურობის დაცვაზე.
- სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამაზ ბიჭიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მანანა ხაჩიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ტალიკაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქრისტინა ჩიხლაძე